

საქართველოს ღუხილო და დარდო,
მოგაშორეს დღენათელს და მზიანს!

„აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო?!
გალიაში ბულბულები ზიან!“

საქართველოს მეორე (საზაფხულო) საკროსვორდო ჩემპიონატი დაიწყება ა.წ. 24 ივნისს. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას!!! გირჩევთ, ჩაერთოთ ამ ტურნირში.


# ფანტაზია

№ 19 (45)

10-16. 06. 1997 | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | ფასი 30 თეთრი





იხილეთ მე-3 გვ.

## ილუსტრირებულიბული ანეკდოტი



ეეერთმა ჩვენებურმა დიდხანს უცქირა კლაუდია შიფერის სურათს და ბოლოს ამოიოხრა:
„მაშ, ამაი შიფერი უნდა ერქვას და ჩემ ცოლს ნაზიო?!“

მალე გამოვა „ფანტაზიის“ დამატება „კროსვორდების გაზეთი“

## კინოვორდი ”მალულა“




თარაზულად: 4. რა ჰქვია გოგი ხარაბაძის გმირს ერთ ქუთაისურ ფილმში? 6. სოფელი (ზოგადად), სადაც ფილმ „წყნარი დონის“ პერიპეტიები მიმდინარეობს. 10. ალენ დელონის პერსონაჟი (ერთ „ძმურ“) ფილმში. 11. ქართული საჭმელი რუსული სახელით. 12. (მისტერ) შარიფი. 13. ქართველი დარმატურგი, იოსელიანი. 15. (მისის) გრიფიტი, ჰოლივუდიდან 16. კინომსახიობი-პრეზიდენტი. 17. ანჟელიკას გვარი – ცხოვრებაში. 18. როგორი კაცი იყო იეთიმ გურჯი – ოჯახურად? 20. ჰოლივუდელი რიჩარდი. 21. ბაღი „პლეხანოვზე“... კინოთეატრით. 22. მოსკოვის კინოინსტიტუტი (აბრევიატურა). 23. (ტოვარიშჩ) ილინსკი, კინომსახიობი. 25. ენტონი კუინის „ბერძენი“ კინოპერსონაჟი. 26. ფრანგული კინოს ლეგენდა. 29. შავიზღვისპირა კურორტი. 30. (სინიორ) პირანდელო, იტალიელი მწერალი და კინოდრამატურგი. 31. თაყვანისცემის ობიექტი (ვთქვათ – კინომსახიობი). 33. დ. კლდიაშვილის პიესის „უბედური“ პერსონაჟი 35. გოეთეს. მშობლიური ქალაქი. 37. ფრანგული კინოს ერთ-ერთი ჟაკლინი (აბა, მაყვალა ხომ არ იქნება?!) 40. ძველებური იარაღი. 43. თბილისის უბანი, სადაც ყოფ. კინოთეატრში ახლა თეატრი ფუნქციონირებს. 44. ფრანგული კინოს ჟანა. 45. (ბატონი) დოლიძე, კინორეჟისორი. 46. როგორი იყო იტალიური (კინო) რეალიზმი? 47. დოსტოევსკის რომანი. 48. (ქალბატონი) ჭანკვეტაძე.

შვეულად: 1. გამასხრების (თუნდაც) კინოჟანრი. 2. (აქ როგორ მოხვდა?!) ქიმიური ელემენტი. 3. (ტუნდაც) კინოჟანრი.
4. გამოიცანით – ვინ იმალება მარცხენა დისკოს უკან?
5. სოფიკო ჭიაურელის „პირადი“ საქმე ერთ კინოფილმში. 7. ვერდის ოპერა. 8. ფელინის მშობლიური ქალაქი-კურორტი. 9. დიდი ქართველი მსახიობი. 10. სტალონეს კინოგმირი. 14. ბიბლიური პერსონაჟი. 19. როგორი ბედი ხვდა წილად ბარბარა ბრილსკას ერთ რუსულ ფილმში (როგორი?) 22. (სენიორა) კასტრო... სერიალებიდან. 24. დიდი ნორვეგიელი დრამატურგი. 25. გადაადგილების ნაძალადევი ფორმა. 26. პერსონაჟი ფილმისა „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“. 27. მისტერ მიკი... ჰოლივუდიდნ. 28. (ბიჭუნა) ტვისტი... დიკენსის რომანში. 32. ლეილა აბაშიძის კინოროლი. 34. იტალიის ტელეკომპანია. 36. (მისტერ) გიბსონი... ჰოლივუდიდან. 37. ჰოლივუდელი (კინო) შვლის ნუკრი. 38. იტალიელი კინოკომპოზიტორი. 39. ვინ ჩამოვიდნენ მთიდან... კინოში? 40. (გოსპოდინ) ჩეხოვი. 41. ლეილა აბაშიძის (კინო) მიჯნური. 42. რა ერქვა ბატონ (კინო) სამჭკუაშვილს?

## ფანტორიზმები

ბატკნების დუმილი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ნამდვილი ცხვრები გაიზრდებიან.

❄ ❄ ❄

საქართველოში ღვინოს სვამენ ორ შემთხვევაში:
1. მაშინ, როცა წვიმს
და
2. მაშინ, როცა არ წვიმს.

მთიელი საპარიკმახეროში შევიდა. პარიკმახერმა ჰკითხა:
– რა ვქნა, გადაგპარსო თუ „პრიჩოსკა“ გაგიკეთოო?
– გადამპარსე!
... და გადაპარსეს. მთიელი იყურება სარკეში და პარიკმახერს ეუბნება:
– არა, ასე არ მომწონს „პრიჩოსკა“ გამიკეთე.



# ევიტა პერონი

## არგენტინის დიდება?!

# „...ჩვენ ბედნიერად ვგრძნობდით თავს და ევიტასათვის სიცოცხლესაც კი გავიღებდით..."

**შარშანდელ კინომოვლენათა შორის ერთ-ერთი სკანდალური ფაქტი არგენტინელთა უსაყვარლეს (... და იდუმალებით მოცულ) ქალს, ევიტა პერონს დაუკავშირდა. ინგლისელმა რეჟისორმა ალან პარკერმა არგენტინელი „პრიმადონას" შესახებ გადაიღო ფილმი, სადაც მთავარი როლი როკ-ვარსკვლავმა, მადონამ ითამაშა. ამ როლისა გამო მადონა არგენტინიდან გამოაძევეს და სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუცხადეს...**

**რატომ?**

**ვინ იყო ევიტა პერონი?**

**გთავაზობთ ნარკვევს, რომელიც დაიბეჭდა 1981 წელს დიდ ბრიტანეთში გამოსულ წიგნში. *„გამოჩენილ ადამიანთა სექსუალურ-ინტიმური ცხოვრება"*.**

## ორმოქმედებიანი სპექტაკლი „წმინდანად" ქცეული მეძავის შესახებ

### *პროლოგი*

არგენტინელთა უსაყვარლესი ქალი 1919 წლის 7 მაისს, ბუენოს-აირესიდან 150 კილომეტრზე მდებარე ლატაკთა სოფელ ლოს-ტოლდოსეში დაიბადა. მისი დედ-მამა – ღარიბ-ღატაკი გლეხები – ქორწინებაშიც კი არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, არაოფიციალურ თანაცხოვრებას ეწეოდნენ და ბავშვების „წარმოებით" იყვნენ დაკავებულნი.

### *პირველი მოქმედება (მეძავი)*

მარია (შემდგომში ევა) ხსენებული წყვილის მეოთხე შვილი იყო. ეს გოგონა 14 წლის რომ შესრულდა, თავისთვის გააცნობიერა, საკმაოდ ლამაზი მკერდი და თვალშისაცემი უკანალი მაქვსო, ასე რომ, ღირდა ბუენოს-აირესზე ეფიქრა და სამსახიობო კარიერაზე ეოცნება. ჰოდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იმ სოფელში შემთხვევით ჩავიდა ტანგოს ოსტატი ხოზე არმანი, რომელსაც გოგონამ თავისი მისწრაფებანი გააცნო. ხოზეს ევამ ერთი რამ სთხოვა – წაეყვანა დედაქალაქში და დანარჩენს თავად მოახერხებდა. მოცეკვავე რატომღაც შეყოყმანდა, რასაც უმალ მოჰყვა გოგონას საქმიანი გარიგება – *„გზაში შენი გავხდებიო"*.

არმანი დასთანხმდა და ასე აღმოჩნდა ევა ცდუნებით სავსე უზარმაზარ ქალაქში. მართალია, შემდგომში ეს ამბავი მანვე ოდნავ გადაასხვაფერა და თავის პირველ სატრფოდ გამოაცხადა არა ხოზე არმანი, არამედ ვიღაც ტიტულოვანი აგუსტინ მაგალისი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

ერთი წლის შემდეგ ნორჩმა მეძავმა არმანი (თუ მაგალისი) მიატოვა და ახალი მფარველი – ემილიო კორსტულოვიჩი – გაიჩინა. ეს კაცი ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი იყო. მათი გაცნობა ასე მოხდა: რესტორნიდან გამოსულ ევას ემილიომ მანქანით გასეირნება შესთავაზა (ეს ამბავი 1931 წელს ხდება), რაზედაც თანხმობა მიიღო; სალონის სიმყუდროვეში კაცმა გოგონას სხეულზე ხელების ფათური დაუწყო. ევა მედიდურად მოუბრუნდა მოარშიყეს და უთხრა:

– სენიორ, რას კადრულობთ?!

– აბა, მაშ რა გინდა?!

– ო, ღმერთო ჩემო – შეიცხადა ევამ – ყველას მე ვუნდივარ და თქვენ პირველი კაცი ხართ, ვინც მკითხა თუ რა მინდა მე...

თითქმის ერთ თვეს „აწვალებდა" ევა გამომცემელს და თავადვე დარწმუნდა, რომ კარგი სამსახიობო მონაცემები აქვს, იგი თავად ქმნიდა სატრფიალო პიესას და მოქმედების მსვლელობისას სიუჟეტის შეცვლასაც ახერხებდა. თემა კი ასეთი იყო – *„გულუბრყვილო სოფლელი გოგონას ცდუნება მდიდარი ქალაქელის მიერ"*. ეს თემა, თავისი პიესით, მარად თან დაჰყვებოდა ევას და სულ მალე იგი მიხვდა, რომ „მისი სპექტაკლის" პარტნიორებად გავლენიანი ადამიანების მოძებნა იყო საჭირო. პირველი მათგანი, რა თქმა უნდა, ემილიო იყო. მალე იგი თეატრის მეპატრონემ, რაფაელ ფირტუზომ შეცვალა, რომელმაც პირველივე ღამის შემდეგ, ამ არაფრისმცოდნე გლეხუჭას საკმაოდ დიდი როლი მისცა თავის თეატრში, ხოლო ერთი პარფიუმერული ფაბრიკის მფლობელმა, რომლის საყვარლობა მხოლოდ ერთი ღამით ისურვა ევიტამ, ეს ქალი საკმაოდ დიდი ხნით უზრუნველყო კოსმეტიკური ნაწარმით.

„სპექტაკლი", როგორც ხედავთ, რიგითი მეძავის როლის განსახიერებით დაიწყო და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ არგენტინის მომავალმა პირველმა ლედიმ შემდგომში არაერთხელ სცადა ამ უძველესი პროფესიის ლეგალიზირება. აღნიშნულ პროფესიასთან მარია ევას კავშირი, შესაძლოა, გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ის, რომ მან პირველი ქალბატონის სარეცელამდე ნაირგვარი ლოგინის გავლის შემდეგ მიაღწია, უდავო ფაქტია.

სიუჟეტის მსვლელობაში სულ ახალი და ახალი პერსონაჟები შემოჰყავდა ევას, რომელთა ანკესზე წამოსაგებად მხოლოდ ყმაწვილქალური მიმზიდველობა აღარ კმაროდა და ამიტომაც გაჩნდა სწრაფვა ფულის მოხვეჭისაკენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საუკეთესო მკერავებთან შემოსვა, პრესტიჟული პედაგოგების დაქირავება (კარგი ტონის შესწავლაც ხომ საჭირო იყო!) და ა. შ. მართალია, ხშირ შემთხვევაში ყოველივე ამას ვინმე მდიდარი არისტოკრატის ან ბიზნესმენის პირადი სახსრები ეწირებოდა, მაგრამ „მშვენიერ გედად" ქცეულ ევას თავადაც უხდებოდა საკუთარი რეპუტატორის ფინანსურ მხარდაჭერაზე ეზრუნა. მას კარგი და პრესტიჟული სამსახური სჭირდებოდა და ევიტა არგენტინის რადიოს დიქტორი გახდა... დიქტორი, რომელიც უმოკლეს ხანში მთელმა ქვეყანამ გაიცნო, როგორც საუკეთესო მთხრობელი. ასე რომ, საჭირო აღარ იყო პორნოგრაფიული გამოცემებისათვის პოზირება! სხვათა შორის, უმაღლეს საქალბატონო საფეხურზე ასვლის შემდეგ, სენიორა პერონმა (უკვე პრეზიდენტის მეუღლემ) საიდუმლო პოლიციას მკაცრი მითითება მისცა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეეგროვებინათ მისი სახელის შემარცხვენელი პორნოგამოცემები და ერთიანად გაენადგურებინათ, რაც დიდი წარმატებით შესრულდა კიდეც.

თვითმხილველთა მოგონებების თანახმად, ევამ გათხოვების შემდეგაც ვერ შეძლო „მეძავის" იარლიყის მოშორება. ერთხელ იტალიაში მოგზაურობისას, იგი – არგენტინის პრეზიდენტის ცოლი – ღია ავტომობილით მილანის ქუჩებში მგზავრობდა და მას გადამდგარი ადმირალი ახლდა თან. ტროტუარებზე ხალხი ხმაურობდა, ყვიროდა და გამუდმებით რაღაცას გაიძახოდა. იტალიური ენის არმცოდნე ევიტამ მაინც შეძლო რაღაცის გაგება და განცვიფრებული მიუბრუნდა ადმირალს: *„ღმერთო ჩემო, ისინი, მგონი, კახპას მეძახიან?!"* – „მე მესმის მათი – გამოეპასუხა ადმირალი – მე აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც ზღვაში აღარ გავდივარ და ისინი ისევ „ადმირალს" მიწოდებენ!"

ბუნებამ ეს ქალი რთული ხასიათით დააჯილდოვა. მას შეეძლო ყოვლისმიმტევებელიც ყოფილიყო და იმავდროულად ღვარძლიანი შურისძიებითაც ემოქმედა. იგი სიშმაგემდე მიდიოდა, თუ ვინმე მის თხოვნას უარყოფდა. დადგა დრო და მას პოლიტიკოსობისაკენ გაუწია გულმა. მათაც ხომ სჭირდებოდათ სექსი, ანუ ის, რაც მათს გაცხარებულ ბრძოლას დამატებითი ენერგიითა და ვნებით ალავსებდა. ევა ერთობ უცნაურ ქვეყანაში ცხოვრობდა. იქაური კანონმდებლობის გამოისობით არგენტინის მოსახლეობის 27 პროცენტი, ჩვენი ნარკვევის გმირის მსგავსად, უკანონოდ შობილად ითვლებოდნენ. ხალხი ამას მიჩვეული იყო და უშფოთველად აღიქვამდა იმ დებულებასაც კი, რომ არაკანონიერად მოვლენილ არსებას ეკრძალებოდა მაღალ საზოგადოებაში მოხვედრა. ამიტომაც აქაურ ქალებს რჩებოდათ ერთადერთი გზა ზემოთ ასასვლელად და ეს გზა ლოგინზე გადიოდა. ევიტამ დიდებულად ისარგებლა ამ „გზით". გზის დასასრულში კი მას უკვე შეეძლო მრავალი რამის შეცვლა და მანაც დაიწყო ბრძოლა, რათა ზემოთხსნებული იდიოტური დებულება გაეუქმებინა. ასე შემოვიდა „სპექტაკლში" ხალხზე ზრუნვის თემა, თუმცა გაჩნდა მეორეც – უფრო ტრაგიკული და სისხლიანი: სადღაც დაიწყეს გაქრობა იმ მამაკაცებმა, რომლებმაც ევიტას სხეულით ისარგებლეს ერთხელ მაინც, მათ მიჰყვნენ ის მძღოლები, რომლებიც ევიტას ღამეულ პაემანებზე დაატარებდნენ, მოისპო თითქმის ყველა, ვინც მისი წარსულის შესახებ რაღაც იცოდა, მოისპო და დარჩა მხოლოდ ჭორი და ლეგენდა მისი პიროვნების შესახებ.

### *მეორე მოქმედება („წმინდანი")*

დაქვრივებული პოლკოვნიკი ხუან პერონი ევამ 1943 წელს გაიცნო, 1945-ში კი იქორწინა მასზე. ხუანი ლამაზი მამაკაცი იყო, მას მრავალი ქალი სწყალობდა და თავადაც დიდი ვნებით დასდევდა პატარა გოგონებს. ამ დროს ევა 24 წლის იყო. პერონი კი – 48-ის. მიიღო რა პოლკოვნიკისაგან მიწვევა სახლში ხლებოდა მას, მშვენიერმა ევამ რამოდენიმე წინასწარი ვიზა განახორციელა ქვეყნის წამყვან პოლიტიკოსებთან, რომლებიც გაოცდნენ, იმის გამო, რომ ამ ქალმა უცებ ინტერესი გამოავლიან იმის მიმართ, თუ რა ლოზუნგებით შეიძლება ხალხის აყოლიება, როგორი პროგრამა უზრუნველყოფს არჩევნებში წარმატებას, რა ელის ქვეყანას ზოგადად და ა. შ.

– მე რადიოში ვმუშაობ! – ასე ფანტავდა ევა იმ პოლიტიკოსთა ეჭვებს და თან პერონთან შეხვედრისათვის ემზადებოდა.

მან იცოდა, რისთვის მიდიოდა იქ!

პირველივე ვიზიტის შემდეგ ისინი საყვარლები გახდნენ, ოღონდ საკმაოდ უცნაური პათოსით: პირველი ვნებიანი აქტის შემდეგ ევა ჩასჩიჩინებდა ხუანს, რომ იგი სახელმწიფოს მეთაური უნდა გახდეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პოლკოვნიკი დამჯერი მოსწავლე აღმოჩნდა და 1946 წელს შეძლო კიდევაც არჩევნებში გამარჯვება.

*... სპექტაკლმა კულმინაციას მიაღწია! – ევიტა პრეზიდენტის სასახლეში დასახლდა.*

როგორც პირველი ლედი, იგი უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა უბრალო ხალხს შორის, რომლებიც ეთაყვანებოდნენ კიდევაც ამ გლეხის გოგოს, ბედმა მაღლა რომ ატყორცნა, მაგრამ ჩვეულებრივი ხალხი არ დაავიწყა. ათასობით ოჯახი დღესაც ალმერთებს მას იმის გამო, რომ მათ საშუალება მისცა ორიოდე კაპიკი ეშოვნათ და შიმშილისაგან თავი დაეხსნათ. ზემოქმედებდა რა ქმარზე, ევამ მიაღწია იმას რომ ქალებსაც მიეცათ საარჩევნო უფლება, იგი გამუდმებით ზრუნავდა მშრომელ ადამიანებზე, მისი მცდელობით მილიონობით დოლარი გადავიდა არგენტინის ბიუჯეტიდან გაჭირვებულთა დახმარების პროგრამებში. ოფიციალურად მას არანაირი სახელმწიფო პოსტი არ ეკავა, თუმცა დე-ფაქტო იყო ჯანმრთელობისა და შრომის მინისტრი. ყოველდღიურად უზარმაზარი რიგი იდგა მის კაბინეტთან, ლატაკი და დასნეულებული ხალხიც კი მიდიოდა მასთან და ევას არანაირი ქედმაღლობა და ზიზღი არ გააჩნდა მათ მიმართ. იგი ხელმძღვანელობდა სკოლების, ბინების, საავადმყოფოების და თავშესაფრების მშენებლობას. მან უსახლკაროთათვის მთელი ქალაქის მშენებლობაც კი წამოიწყო. ამ ქალაქს ხალხმა „ევიტა" უწოდა. აი ერთი მოქალაქის მოგონება: *„ჩვენ უკიდურესად ღარიბები ვიყავით. დედაჩემს ხუთი შვილი ჰყავდა. და აი, უცებ ჩვენ მოგვცეს ბინა ყველანაირი ავეჯით. კარადებში ტანსაცმელი ეკიდა, სამზარეულოში პროდუქტის ყუთები ელაგა. ჩვენ ბედნიერად ვგრძნობდით თავს და ევიტასათვის სიცოცხლესაც კი გავიღებდით"*.

სულ უფრო მეტ ბოგანოს დაეტყო ევიტას ხელი; სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მისი როლი გენერალ პერონის კარიერაში. ევას უყვარდა ეს კაცი, თუმცა ერთხელ მაინც უღალატა მას და მისი ღალატის პარტნიორი ბერძენი მულტიმილიარდელი არისტოტელე ონასისი იყო (ეს ის ონასისია, რომელმაც შემდგომ კენედის ქვრივი, ჟაკლინი შეირთო – „ფანტ".რედ.). ევამ ონასისი მეორე მსოფლიო ომის დასასრულს გაიცნო, როცა ეს ბერძენი ბიზნესმენი პროდუქტებს აგზავნიდა თავის ოკუპირებულ სამშობლოში. 1947 წელს ევა ევროპაში ჩავიდა და ონასისიც სპეციალურად ჩაფრინდა იტალიაში, რათა შეხვედროდა მას. ონასისი ჩასვლისთანავე მიიწვიეს ვილაში, სადაც ისინი განმარტოვდნენ და უმალ მიეცნენ „თავდავიწყებას". დილით ქალმა თავის მდიდარ საყვარელს ლოგინში ერბოკვერცხი მიართვა და ათიათას დოლარიანი ჩეკი დაიმსახურა მზარეულობისათვის... მოგვიანებით ონასისმა ეს ფაქტი გარკვეული ირონიით გაიხსენა – *„ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ერბოკვერცხი იყოო!"*.

### *ფინალი*

ევიტა 1952 წლის 26 ივლისს გარდაიცვალა 33 წლის ასაკში. მას საშვილოსნოს კიბო დაუდგინეს. დამწუხრებულმა მეუღლემ განკარგულება გასცა რომ არგენტინის საერთო გლოვის ობიექტის სხეული დაებალზამირებინათ. ევიტა მხოლოდ 1974 წელს მიაბარეს მიწას.

**ევას სახელი ლეგენდებში განაგრძობს ცხოვრებას. აქ კი ჭორი და მართალი გაურკვევლადაა გადახლართული ერთმანეთში. სპექტაკლი სათაურით „ევიტა" მთელი მსოფლიოს თეატრალურ თუ კინოდარბაზებს მოედო. 70-იან წწ. ბოლოს ბროდვეიზე გამოჩნდა მიუზიკლი — „ევიტა", რომლის ავტორები, ენდრიუ ლლოიდ ვებერი და ტიმ რაისი იყვნენ (მანამდე მათ ქრისტეს ცხოვრებისეული „სუპერსტარი" დადგეს). სწორედ ეს მუსიკალური სპექტაკლი დაედო საფუძვლად თავში ხსენებულ ალან პარკერის კინოვერსიას და ევიტას სახელს კვლავაც სკანდალური ამბების ფეიერვერკი დაუკავშირდა. ფილმი უარყო დღევანდელმა არგენტინამ და, ალბათ იმიტომ, რომ არავის სურს „წმინდანში" (რბილად რომ ვთქვათ) მსუბუქი ყოფაქცევის შტრიხები დაინახოს. ეს შტრიხები კი საკმაო დამაჯერებლობით წარმოაჩინა მადონამ.**

## *მადონა თავისი „საბედისწერო" როლის შესახებ...*

... როგორც აღვნიშნეთ, ევიტა პერონის როლის განსახიერებით მადონამ არგენტინელთა არათუ წყრომა, არამედ გააფთრებული რისხვა დაიმსახურა. იგი ინკოგნიტოდ გამოიპარა ამ ქვეყნიდან, რათა ევიტას ფანატიკოსთა ხელში არ ჩავარდნილიყო, რადგან ისინი სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ შოუბიზნესისა და, აწ უკვე კინოს, ვარსკვლავს. ვერავინ იტყვის, ამ რისხვის კომპენსაციის თუ მისი ნიჭიერების გამო მოხდა ეს თუ არა, მაგრამ მადონამ არგენტინელთა „წმინდანის" როლის განსახიერებისათვის ამერიკის კინოსამყაროს ერთ-ერთი პრესტიჟული პრემია დაიმსახურა – მას გადაეცა „ოქროს გლობუსი" და იგი აღიარეს „მიუზიკლისა და კომედიის საუკეთესო მსახიობად. „მე კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა როლმა ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან ხელოვნების დანიშნულება სწორედ ეს არის – მან უნდა ააფორიაქოს მაყურებლის სული!" – დაასკვნა მადონამ,




*ფოტოზე*: მადონა – „ოქროს გლობუსით" ხელში.



# „ეს ქვეყანა სულ ფული, ფული... სხვამ ყველა ტყუილია"

(„მაყრა")



### 1. ზოგადი შესავალი (რა თქმა უნდა, უკან გამოსვლით)

გასულ ნომერში აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერმა ფილმმა (თუ სანახაობამ), თუნდ მაღალმხატვრულმა და თუნდ უგემოვნომ, რაღაც ცხოვრებისეული თუ არ გაგახსენა, „კაპიკი იქნება მისი ფასი..." ახლა გაზეთები უხვად გამოდის „კასანდრასთან" დაკავშირებით და ეს მოვლენა – კასანდრიზმი – ჩვენ ჯერ კიდევ ა.წ. მარტში ვიწინასწარმეტყველეთ და კარგი ნოსტრადამუსივით მართალნი გამოვდექით. როგორც ჩანს, ამ პრესკასანდრიზმის წარმომადგენელნი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროდუქცია არ გაიყიდებოდა (ასეთია „რინოჩნი" ეკონომიკის კანონი!). ზოგი მათგანი ფილმის უახლოეს შინაარსს წერს, ზოგნი ამ „უახლოესის" შემდგომ ამბებს აღწერენ (ესაა კონკურენცია!), სხვანი ნაირგვარ კონკურსებს ატარებენ, კიდევ სხვანი პაროდიებს თხზავენ და ასე თანდათანობით ყალიბდება ჩვენში „ახალი აზროვნების" საზოგადოება. ჩვენს გაზეთს კი სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ „ფილოსოფიური განწყობით" აღწეროს ნანახ-განცდილი და მხატვრული თუ ყოფითი პარალელები გაავლოს (...და, რა თქმა უნდა, ისევ გამოავლოს).

ეგებ ვინმეს გულიც ვატკინოთ ასეთი შეფასებით, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ, „კასანდრა" იქნება ეს თუ სხვა რომელიმე სერიალი, ვერაფერი დიდი ხელოვნებით ვერ გამოირჩევა (... რომ არაფერი ვთქვათ იდეურობაზე), მაგრამ რაკიღა ამ ტელესერიალებს უამრავი ხალხი ადევნებს თვალს, ე.ი. მათი განხილვა-შეფასებაც უნდა მოახდინოს ვიღაცამ. ან როგორ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ის ფაქტი, რომ საყვარელი ტელეგმირების ყოველ „ფრჩხილის წამოტკიებას" ახლობელი ადამიანის ავადმყოფობასავით განიცდის უზარმაზარი ტელეაუდიტორია

*ვითომ შემთხვევით ხდება ეს?*

არსებობს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი აზრი ტელესერიალებთან დაკავშირებით, რომელთაგან ყველაზე მეტად ერთი ასეთი „ჰიპოთეზა" დაგვამახსოვრდა:

### 2. პოლიტიკური ტიალსვლა (შესაბამისი უკუსვლით, რა თქმა უნდა)

ამგვარი ტელესერიალების ჩვენება გარკვეული „ძალების" მიზანმიმართულ პოლიტიკას ემსახურებაო, ანუ მათი დანიშნულება, ხალხის გემოვნების დაქვეითება და გამოთაყვანებააო, რათა ეს გამოთაყვანებული მასა ადვილად მართვადი იყოსო... და ა.შ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკით ზედმეტად დაავადებულთა ვარაუდია და ჩვენ ამას არ ვიზიარებთ, მაგრამ არც მის „ამოშანთვას" ვაპირებთ, რადგან ყველას აქვს უფლება, იქონიოს თავისი აზრი, რაგინდ ბრიყვული იყოს ის... უბრალოდ ამ აზრით სხვა არ უნდა შეწუხდეს!

ან რაღა დროის პოლიტიკურ ზეგავლენაზეა ლაპარაკი, როცა ყველას და ყველაფერს ახლა ერთი მიზანი გააჩნია და მას საკმაოდ კონკრეტული სახელი აქვს...

*ფული!*

### 3. ჰოდა, მივადექით ჩვენს სათქმელს (გიშველათ ღმერთმა!)

დღეს ბევრსაც რომ ეცადო, ვერაფერს გახდები იმ ფაქტთან, რომ, ფულის შოვნისა გამო, ყოველგვარი ზნეობრივი, ეროვნული თუ სულიერი „ბომონები" უჯარო გენერლებივით მიატოვეს ბრძოლის ველზე; ადრე თუ ჩვენს მსოფლმხედველობასა და გემოვნებას შტატიანი ცენზორების უზარმაზარი არმია აკონტროლებდა და „ძილისპირულსაც" არავინ აჭაჭანებდა ეკრანზე, თუ მასში რაიმე „იდეური" არ იდო, ახლა ოღონდ ხალხი მიაჯაჭვო ეკრანს (გაზეთს) და თუ გინდა „დედა ნუ ეიყვანს" შვილს... მერე-და თუ მიაჯაჭვე, რეკლამაც ხომ მოვა, რეკლამა მოვა და სახლში ბარაქა გაჩნდება, ბარაქა გაჩნდება და დასვენება მოგინდება, დასვენება მოგინდება და ჩართავ ტელევიზორს (გადაშლი გაზეთს) და სამხრეთ ამერიკის ქვეყნელთა სასიყვარულო გულისძგერას მიუგდებ ყურს და მშვიდად დაიძინებ... აი, ესაა რეკლამის ძალა... აპა!

*მერე-და რა შუაშია აქ „კასანდრა"?!*

აკი გითხარით, ფილმის ყურებისას ცხოვრებაზე უნდა იფიქროთ-თქვა; მართალია, იქ (ვენესუელაში) თვით უმუშევრებიც კი ნაფუფუნარი პეიზაჟ-პანორამების ფონზე ცხოვრობენ და მხოლოდ ის აღელვებთ, თუ ვინ ვის რამდენჯერ გაულიმა, მაგრამ როცა საქმე პრინციპულ საკითხამდე მიდის, ჩვენსა და მათ შორის არავითარი განსხვავება აღარ ჩანს, ანუ:

### 4. „მოყვარეს პირში უქრახე"...

დღეს სამ მეოთხედ საქართველოს დანარჩენი ერთი მეოთხედის ვალი აქვს, ხალხი იმ დონემდეა მისული, რომ ნებისმიერი ქონების ხელში ჩასაგდებად კაცი კაცს არ ინდობს და ქალი – ქალს... ისევე, როგორც ეს ვენესუელელი ქალბატონები არ ინდობენ არავის და მომაკვდავი ალფონსოს (ხომ გეცოდებათ, არა?!) ქონების ხელში ჩასაგდებად ყველაფერზე „აწერენ ხელს". ახლა არ მითხრათ, საქართველოში მსგავსი ამბავი არ მოხდებაო... კარგით რა, „ჭკვაზე მოდით, ხიდზე გადით!"...

### 5. ხიდიო, ვთქვი და ერთი ამბავი გამახსენდა...

სომხეთ-ირანის საზღვარზე გადმოვდიოდი, ჩემთან ერთად საზღვარს ჩვენი, ქართველი, „ტურისტები" კვეთდნენ, რომელთაც ირანში, პერსეპოლისიდან დაწყებული ხომეინის საფლავით დამთავრებული, უნახავი არაფერი დარჩენოდათ და გზადაგზა თითოოროლა „ბარდანა" გაევსოთ ირანული „სუვენირებით". იქ საზღვარი მდინარე არაქსზე გადის და მასზე რუსი მესაზღვრეების მიერ აშენებული ე.წ. „პონტონური" ხიდია გადებული, რომელიც პირდაპირ წყალზე დევს... ირანელთა საბაჟოს თითქმის მშვიდობით გამოვცდით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთ ჩვენიანს ის („საზიზღარი") აჰმედა-მებაჟე იტალიური კოსტუმებით სავსე ბარდანას არ ატანდა იმ მოტივით, რომ უცხოური საქონლის გატანა არ შეიძლებაო... ატყდა ერთი ამბავი, მე სათარჯიმნო ჩარევა მომიხდა, ის ქალბატონი აჰმედას მუხლებზე დაუდგა და რომ ვიფიქრე, ის დროა, გავეცალო-მეთქი აქაურობას, ერთმა სხვა „აჰმედამ" განზე გამიხმო და მითხრა: „ეგ ხანუმა დააწყნარე, ერთ საათში „ცვლაში მე ვიქნები და მოვრიგდებითო" და მორიგებაც მოხდა იმ ერთი საათის შემდეგ, ოღონდ იმდენად დაბალ ფასში, რომ იმ ჩვენს ქალბატონს ეგონა - მასხარად მიგდებენო, რადგან მას სხვა მრავალი საბაჟოც ჰქონდა მოვლილი და ასე იაფად არსად გადარჩენილა თურმე. ასეა თუ ისე, საბაჟოს გამოვცდით და „შუა წყალში" აღმოვჩნდით, ნეიტრალურ ზონაში, სადაც აღარც ირანული და ჯერ არც სომხური ურიკები არ არის ბარგის გადასაზიდად და ჩვენი ქალბატონები, რომლებიც სახლში, ალბათ, ერთი თეფშის გადადგმაზე წუწუნებენ, იძულებულნი გახდნენ ის „ბარდანები" ზურგით თუ სხეულის სხვა ნაწილებით ეთრიათ. ის ხიდი საკმაოდ გრძელია, მოდიდებული არაქსის წყალიც პირდაპირ ფეხებზე გადაგვდიოდა და ამიტომაც იდგა ერთი ქართული ვაი-ვიში. უცებ იმ ჩვენს ნაცნობ ქალბატონს, იტალიური კოსტუმების „ბარ-



დანამ" გადასძლია, ფეხი წააცდენინა და ჩვენ ადგილზე გაგვაშეშა, რადგან წამიც და ის ჩვენი ცოდვით სავსე „ბარდანა"(მთელ იტალიასთან ერთად) წყალში აღმოჩნდებოდა, მაგრამ... იმძლავრეს მაია წყნეთელის გენებმა და იმ ჩვენმა ქალბატონმა „იტალია" არაფრისდიდებით არ გაატანა არაქსს კასპიის ზღვისაკენ, თავად კი (ქალბატონი) წყალში აღმოჩნდა...(?!)

ახორხოცდნენ აქეთ-იქიდან ირანელი და სომეხი მებაჟეები, რუსმა მესაზღვრეებმა „ბუტკებიდან" წითელი ცხვირები გამოყვეს... გაშმაგდნენ ქართველები! – არ შეეპუენ წყალს და ქალი ( „...და რა ქალი! – ხელისგულზე სატარები...") ხიდზე ამოიყვანეს!

„მადლობა ღმერთს! – საქონელი გადავარჩინეო!" – გაიხარა იმ „ხელისგულზე სატარებმა" და ისეთი თვალებით გადახედა „ბარდანას", თითქოს ბატონი თენგიზ ჩანტლაძის მსგავსად ეუბნება - „ხომ ხედავ, ორჯერ გადაგარჩინეო!"

აი, ასეთი ამბავი გამახსენდა, ამ „პუბლი+ცისტიკას" რომ ვწერდი.

*მერე-და რა შუაშია აქ „კასანდრა"?!*

იმ შუაშია, რომ, დარწმუნებული ვარ, ახლა ის არაქსდალეული ქალბატონი ფულზე და ქონებაზე გადარეულ, („პეზდკების" მოყვარულ) ერმინიას რომ უყურებს, ამას ფიქრობს: „ნეტამც ისე ქმნილა, „პეზდკაში" ჩემსავით წყალში ჩავარდეო!"

მეც ასე დავამთავრებ:

*ორინოკოს წყალმა წაგიღოს შენ, ერმინია, კასანდრას ციხეში ჩასმისათვის!*

*ტელემაყურებელი*

**P.S.** ორინოკო ვენესუელას ერთ-ერთი მთავარი მდინარეა.

## ანეკდოტები

*(ჩვენი ნაცნობი მთიელი)*

ჩვენი ნაცნობი მთიელი წყლის პირას ზის, გვერდით აგურების გროვა უყრია; გადააგდებს აგურს წყალში, დახედავს, „ვაჰო" – იტყვის და ისევ გადააგდებს აგურს.

– რათა ყრი აგურებს, ბიჭო? – გაიოცა მეორე მთიელმა.

– აბა, შეხედე, აგური ოთხკუთხედია და წყალში ჩავარდნის დროს მრგვალ წრეებს რატომ უშვებს... ვერ გამიგია?

— — — — — — —

ჩვენმა ნაცნობმა მთიელმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი დაამთავრა. დაბრუნდა მთაში და ეკითხებიან: „ახალი რა გაიგეო?"

– რა გავიგე და... აქამდე ჩვენ ხომ გვეგონა, რომ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ცოლ-ქმარი იყვნენ?

– გვეგონა! – უპასუხეს.

– ჰოდა ისინი ოთხი სხვადასხვა კაცი ყოფილან!

— — — — — — —

ჩვენი ნაცნობი მთიელი მაღაზიაში შევიდა, უნდოდა ცოლისთვის საჩუქარი ეყიდა. არჩია, არჩია და ვერაფერი აარჩია. ბოლოს გამყიდველ ქალს ჰკითხა:

– თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, რას ისურვებდით?

– სხვა ქმარს!

— — — — — — —

ჩვენი ნაცნობი მთიელი ავტოავარიას შეესწრო; მოირბინა ინსპექტორმა და ჰკითხა:

– რა მანქანამ დაარტყა?

– მწვანემ!

– მწვანე მეც დავინახე... რა ნომერი ჰქონდა?

– თეთრი!

— — — — — — —

ჩვენმა ნაცნობმა მთიელმა რაღაც თავსატეხი იყიდა. იწვალა, იწვალა და ერთ წელიწადში ააწყო. მოვიდა მეორე მთიელი.

– ეს თავსატეხი ერთ წელიწადში ავაწყე; დიდი დროა თუ პატარა?

მეორემ ხელში აიღო თავსატეხი, დაათვალიერა და უთხრა:

– კაციც შენ ყოფილხარ, მმარ! აი, აქ წერია – „სამიდან შვიდ წლამდე".

მე—3 გვერდი

# მარადიული სიჭაბუკის იდუმალებანი

უცნაური ფაქტები

ფრანგი მოგზაური და არქიტექტორი პოლ ლუკასი თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: „1713 წელს, სტამბოლში ყოფნისას თურქეთის სულთნის ჰარამხანაში მე ვნახე ნორჩი ფერიები, რომლებიც, საჭურისის თქმით, 70 წლის ასაკს იყვნენ გადაცილებულნი" (?!).

ჩინეთში. „შოუ-დაოს" კლანის წევრები, მიაღწევდნენ რა 75-80 წლის ასაკს, შორეული მოგზაურობისათვის ემზადებოდნენ. ისინი ბოლომდე აგვარებდნენ ურთიერთობას თავის ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან და არწმუნებდნენ მათ, რომ სიკვდილის გზას ადგებოდნენ და სთხოვდნენ მათ, რომ თავიანთი წასვლის შემდეგ, წესისამებრ, სამგლოვიარო რიტუალი შეესრულებინათ; სინამდვილეში კი ამ „მიცვალებულთა" ჯგუფი საიდუმლო „სავანისაკენ" მიეშურებოდა... იქ ისინი, გამოცდილ მოძღვართა მითითებით სპეციალურ ვარჯიშებს ატარებდნენ, რის შედეგადაც 30-40 წლის ასაკის იერს იძენდნენ და ვალდებულნი იყვნენ შეეცვალათ სახელი, შეეთხზათ ბიოგრაფიული ლეგენდა და სხვაგან გადასახლებულიყვნენ. პორტუგალიელი ისტორიკოსი ლოპეზ დე კასტანედა ამტკიცებს, რომ იგი შეხვდა ერთ ინდუსს, რომელიც 370 წლის იყო და რომელსაც 700 ცოლი ჰყავდა გამოცვლილი (... ზოგიერთი ერთსაც ვერ იცვლის, არა?! – „ფანტ". რედ).

უცნაური კვება

უნგრელმა იანოშ როფინმა (172 წლის) და მისმა მეუღლეს შარამ (164) წლის განმავლობაში ერთად იცხოვრეს და რძისა და მჭადის გარდა არაფრით გაუნებივრებიათ თავისი სტომაქი.

ვენეციელი თავადი ლოდოვიკო კორნარი 40 წლამდე „ძირგავარდნილი ქვევრივით" ნთქავდა საჭმელს, მაგრამ როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, გონზე მოვიდა და უკიდურესი მომჭირნეობის ხერხს მიმართა... თავის გადასარჩენად. ანუ: თავისვე ნაკეთი სასწორის გამოყენებით იგი დღეღამის განმავლობაში მხოლოდ 360 გრამ საკვებს და 420 გრამ სითხეს გეახლებოდათ. ასეთი დიეტით კორნარომ კიდევ 40 წელი იცოცხლა და ამ ხნის განმავლობაში, ოჯახის წევრების ძალდატანებით მხოლოდ იმას იქმდა, რომ დროდადრო თავის რაციონს 60 გრამით ზრდიდა, რამაც ცხოვრების 83-ე წელს მაინც იჩინა თავი და სინიორ ლოდოვიკოს კუჭი ასტკივდა. თანდათანოდით 360 გრამსაც მოუკლო და ბოლოს მხოლოდ ორ ცალ კვერცხისგულზე ჩამოვიდა – ერთი – სადილად, მეორე – ვახშმად. 98 წლის ასაკში ვენეციელმა აზნაურმა თავისი გამოცდილება განაზოგადა და სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით – „საუბრები ჯანმრთელი კვების შესახებ". 1556 წელს კი, 104 წლის ლოდოვიკოს დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ეწვია... მიქელ-გაბრიელი.

მიუხედავად იმ „ვენეციური დიეტის" უკიდურესობისა, ეს მაინც არ არის „რეკორდი", რადგან ცნობილია ფაქტი, როცა ვინმე რუნ ჩჟილიანი (ჩინეთში!) დღეში მხოლოდ ორ ფინიკს მიირთმევდა და ასე იცხოვრა 140 წელი, სულ ახლახანს კი (1992 წელს) ასევე ჩინელმა სიუანჩჟუნმა ყველა გააოცა იმით, რომ სრული ერთი წლის განმავლობაში საერთოდ არაფერი უჭამია, თუმცა სრული ბრძოლისუნარიანობა გააჩნდა და, რაც ყველაზე საოცარია, მას ისეთივე ფიზიოლოგიური გამონაყოფები ჰქონდა, როგორც ნასვამ-ნაჭამ ადამიანებს აქვთ.

უცნაური რეცეპტი

ავანტიურისტი გრაფი კალიოსტრო ყველასათვის ცნობილია. მან შექმნა ბროშურა სათაურით – „რეგენერაციის საიდუმლო ანუ სხეულის სრულყოფა, რაც 5557 წლამდე სულდგმულობას განაპირობებს". აი, მისი რეცეპტი:

32 დღის განმავლობაში უნდა იყოთ დიეტაზე და პერიოდულად აიღინოთ ვენებიდან სისხლი. შემდეგ უნდა დაწვეთ და მიიღოთ ერთი ციცქნა „მატერია პრიმა" (კალიოსტროს საფირმო ელექსირი), რაც გამოიწვევს მეხსიერების დაკარგვას, ბოდვას, თმისცვენას, კბილების მორყევას, მაღალ სიცხეს და მარვალ სხვა უსიამოვნებას. თუმცა ნუ შეუშინდებით ამას და განაგრძეთ ამ „ელექსირის" გამოყენება 36-ე დღის ჩათვლით; ამას სამდღიანი ძილი უნდა მოჰყვეს, მე-40 დღეს კი, გამოღვიძებისთანავე, ცხელი აბაზანა უნდა მიიღოთ და იგრძნობთ, რომ თქვენი ასაკის 50 წელი გაქრება. ეს „დიეტა", თავის რეცეპტით საუკუნეში ორჯერ უნდა გამოიყენოთ და 5557 წლიანი არსებობა გარანტირებული გაქვთ.

უცნაური გოგონები

ბიბლიაში არის ერთი მინიშნება იმის შესახებ, რომ დაძაბუნებულ მეფე დავითს, ნაცვლად „სათბუნებლისა" (ე. წ. „გრელკისა") ლოგინში ნორჩ გოგონას უწვენდნენ, რომელიც სუნამიტელი გახლდათ და რამაც სპეციალური ცნებაც კი შექმნა „სუნამიტიზმის" სახით.

სუნამიტიზმი საოცარი ეფექტურობით გამოიყენებოდა მე-18 ს. პარიზში. ამ ქალაქის მხცოვანი და მდიდარი ბინადარნი, ბიბლიური დავითის მსგავსად, სამკურნალოდ „გოგონებს" იყენებდნენ. შექმნილი იყო სპეციალური „ბიუროც" კი, რომლის მეპატრონე ავალდყოფებს ერთ ღამეში 18 ფრანკის საფასურად, კარგი რეპუტაციის მქონე ქალწულებით უზრუნველყოფდა და ეს კურსი 24 დღეზე იყო გათვლილი, რომლის განმავლობაში პაციენტი 3 გოგონას იცვლიდა.

აი, სულ ეს არის!

კროსფანტაზია

# სკანდინავიური კროსვორდი

- იტალიელი ფიზიკოსი
- „გაკულაკება" ანუ...
- „გირაოში" დატოვებული კაცი
- პირამიდების „დარაჯი"
- მარსი — ბერძნულად
- ნახატებიანი გამოცანა
- დერეფანი
- ისტორიული თხზულება
- საბჭოთა ავტომობილი
- ბოსტნეული
- კლოუნი ქართულად
- გემოს მიმცემი
- მწვერვალი
- ცხენის მოსართავი
- იტალიელი კინორეჟისორი
- თბილისის უბანი
- ავსტრიელი პოეტი
- პროდუქციის ნაირგვარობა
- ლათ.ამერიკის ქვეყანა
- ამურის იარაღი
- ფეხსაცმელი
- ისტერიკა
- „მწირი"
- ძიუდოს ქულა
- ბერძნული ცეკვა
- დიდი ველი
- გურიის სოფელი
- კახადის ტერიტორ.
- მატყუარა
- პოლონ. კომპოზ.
- მაჯნუნის „ნაშა"
- დათა
- ქალაქის ნაწილი
- მუსიკა, ცეკვა, ლაპარაკი
- მკვიდრი
- ჯაკარტა
- მთიელთა საჭმელი
- ჰიტლერის ძმაკაცი
- ცთომილთა „გზა"
- ცხენი ლერმონტოვის პროზაში
- „ნაცარქექიას" პერსონაჟი
- 0.01 ჰექტარი
- წინააღმდეგი
- ქართველი მოჭადრაკე
- დაბა ბოლნისის რაიონში
- აშშ-ს შტატი
- პატარა მეზღვაური
- ტელენატო
- ისაკაძე
- ქალაქი იაპონიაში
- კონიაკი
- ევროპელი თავადი
- ...გოტი, ჩეხი მომღერალი
- მომღერალი-ტოტო
- ფრანგი ფეხბურთელი
- ძვირფასი და სათუთი
- „დაისის" პერსონაჟი
- მამაკაცის სახელი
- დაგრაგნილი ნამცხვარი
- „სალირსო" სიტყვა
- აზოტმჟავას მარილი
- თილისმა
- ადამიანთა დასაყოფი საშუალება
- ყაზაყი მწერალი
- დაცინვის სახეობა
- ჭადრაკის ქალღმერთი
- რომაული ღვთაება
- მონიკას და
- ლატვიის ქალაქი
- ნოეს ვაჟი
- ქალაქი ყირგიზეთში
- მდინარე აშშ-ში
- ვერდის ოპერა
- პოლიტ. მოწინააღმდეგე
- „გვადი ბიგვას" პერსონაჟი
- იტალიის საფეხბურთო კლუბი
- „მცდარი წარმოსახვა"
- კანფეტი
- თვითმფრ. სერია
- ჯამარაული
- დიდი ანუ...
- აშშ-ს ფული
- ჭანკვეტაძე
- ძველებური ფული
- „ბე" ვიტამინი
- აზერბ. ანსამბლი
- კინოქალაქი
- ქალაქი ნიგერიაში
- 30-იანი წლების მელოდია
- ჯაგარსა და ყვავს შორის
- ჟაკლინ კენედის ქმარი
- არაბი მწერალი
- ნაწილაკი
- რუსული ესტრადის ლარისა
- შაქრის ლერწმის გასაკაფი დანა
- თეიმურაზი ჯაყოსთვის
- ვითომ მკურნალი
- გრაფიკული ნიშანი
- არტემიდე რომში
- მდგომარეობა
- ბატონი აველანჟი
- ბრაზ. ფეხბურთ.
- რა დაემართათ კამეჩებს?
- მედროშე
- წილი
- ტკბილეული
- ნიგერის დედაქალაქი
- შერჩევა
- ლექსი
- თუთიყუში
- პოლონეთის ქალაქი
- ალე...
- რუსი მოგზაური
- ბალტიისპირეთში
- ჟიგული
- ჩექმა
- ციმბირის მთები
- ფეხბურთის ფედერაცია
- არ არსებობს...
- ლითონი
- ფული
- მუს.ინსტრუმენტი
- სიმსივნე
- ღირებულება
- კუჭის მრეცხავი
- ტიბეტური ხარი
- ინგლ. მოჭადრაკე
- სახლში
- ეგვიპტელი
- ინდუიზმის ღვთაება
- სკოლის გაცდენა
- ხახა
- უარყ. ნაცვალსახელი
- თევზი
- აპინა
- ორსახა თვე

მე—4 გვერდი

# საქართველოს ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში

## საგაზაფხულო ტურნირის შედეგები

ამა წლის 15 მარტიდან 31 მაისამდე ჩატარდა პირველი (საგაზაფხული) ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კროსვორდის სამოცამდე მოყვარულმა...

**პირველი ტურნირის ჩემპიონი გახდა ბატონი იური გაბრიელიძე**



### პირველი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | მე-9 | მე-10 | კოეფიც. | პრემია | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იური გაბრიელიძე | 100 | 99 | 99,00. | 19 | 118,00. |
| 2. მანანა ბუძღულაშვილი | 96 | 99 | 98,40. | 19 | 117,40. |
| 3. გორგი ვეკუა | 96 | 96 | 97,41. | 19 | 116,41. |
| 4. ნია ბალდავაძე | 97 | 99 | 95,33. | 18 | 113,33. |
| 5. შოთა ფანჩვიძე | 99 | 93 | 96,18. | 17 | 113.18. |
| 6. მარინე ხაჩირაშვილი | 100 | 94 | 96,93. | 16 | 112,93. |
| 7. მამუკა ნებიერიძე | 92 | 97 | 96,48. | 16 | 112,48. |
| 8. ავთანდილ თიკანაშვილი | 96 | 92 | 96,69. | 15 | 111,69. |
| 9. გიორგი საღრიშვილი | 97 | 92 | 94,19. | 16 | 110,19. |
| 10. ზურა სესიტაშვილი | 94 | 96 | 95,71 | 13 | 108,71 |
| 11. დათო კვირიკაშვილი | 95 | 91 | 93.70 | 13 | 106,70 |
| 12. ზაალ ზურაბიშვილი | — | — | 98,66. | 7 | 105,66. |
| 13. მურთაზ კიკალეიშვილი | — | — | 99,15. | 2 | 101,15. |
| 14. ნინო გონაძე | — | — | 97,80. | — | 97,80. |
| 15. ლევან აგლაძე | — | — | 97,16. | — | 97,16. |
| 16. მერაბ კუტალაძე | — | — | 96,00. | — | 96,00. |
| 17. ნინო გოქაძე | — | — | 94,80. | 1 | 95,80. |
| 18. გიორგი გიორგაძე | — | — | 95,04 | — | 95,04. |
| 19. ვასილ ლომუაშვილი | — | — | 94,52. | — | 94,52. |
| 20. გია მეტრეველი | — | — | 85,88. | — | 85,88. |

სხვებმა ვერ (თუ არ) შეასრულეს დადგენილი ნორმა, ანუ მონაწილეობა მიიღეს ხუთზე ნაკლებ ტურში.

*1–3 ადგილებზე გასულ მონაწილეებს გადაეცემათ სამახსოვრო პრიზები; ვთხოვთ მათ, მობრძანდნენ რედაქციაში ა.წ. 13 ივნისს, საღამოს 19 სთ-მდე.*

**მეორე ჩემპიონატი დაიწყება 24 ივნისს და გასტანს სექტემბრამდე. მომავალ ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.**

**ჩემპიონატის მსვლელობისას დაფიქსირებული ზოგიერთი ტექნიკური თუ შინაარსობლივი ხარვეზებისა გამო, რედაქცია გიხდით ბოდიშს.**

*მე-9 ტურის პასუხები.*

1. კალანდია. 2. ჩიკაგო. 3. ანტოკოლსკი. 4. ჩიტუნია. 5. პიერო. 6. ორწოხი. 7. კიწი. 8. ბერიკონი. 9. ლიბერალიზმი. 10. კიროკოროვი. 11. ქმარი. 12. ანტიფაშისტური. 13. კურაციო. 14. რისორჯიმენტო. 15. აზრი. 16. ვარიანტი. 17. იურთი. 18. ელინი. 19. მენიუ. 20. მუზა. 21. კაკაპო. 22. უარყოფითი. 23. ესკორტი. 24. აფონია. 25. იდეოლოგია. 26. ტრანოზავრი. 27. ატლანტი. 28. ხაში. 29. ჯილი. 30. ლაბორანტი. 31. პენზა. 32. არქეოლოგია. 33. მარკესი. 34. კრისტალინსკაია. 35. ჰერბალაიფი. 36. ბაიანი. 37. ვარძია. 38. ძმები. 39. ანჰიდრიტი. 40. შიო. 41. რევიზიონიზმი. 42. ეგიდა. 43. ნადიმი. 44. დასენი. 45. ცენტრი. 46. ნირი. 47. ლომბარდი. 48. კინტოური. 49. ულფილა. 50. ინფიქსი. 51. ბოილერი. 52. გოგნი. 53. უძღები. 54. გერა. 56. მაღლაფერიძე. 57. სკანდერბეგი. 58. კონფიგურაცია. 59. კოლონია. 60. ოკამი. 61. ომარი. 62. ოქსიონ. 63. უკან. 64. კოალა. 65. ლოტრეამონი. 66. პატრიარქი. 67. ხაშმი. 68. მაკარევიჩი. 69. ლეგო. 70. ცეცილია. 71. ჩაიკა. 72. ფიორდი. 73. ესაკია. 74. აინუნი. 75. ტიტე. 76. იაკი. 77. ხორხოცი. 78. ჰიმალაი. 79. რიკკოვი. 80. კაპიტოლიუმი. 81. მკაცრი. 82. რუსო. 83. ნივხი. 84. ვრაცუა. 85. ოდიოზური. 86. ზახავა. 87. ნავსი. 88. თმა. 89. მეიე. 90. ახტაჯანა. 91. ასპინძა. 92. პუგო. 93. კუჩხი. 94. ჩელო. 95. ხივა. 96. სულ. 97. სიტუაცია. 98. რისლინგი. 99. ბურვილი. 100. ხვიჩა.

საპრემიო: 1. კვინტესენცია. 2. გარდემარინი. 3. ველოსიპედი. 4. პერესტიანი.

*მე-10 ტურის პასუხები*

1. ხარანაული. 2. ამფსონი. 3. ანტიკვარიუმი. 4. მიხელი. 5. ხოსტა. 6. ლოლაშვილი. 7. შივა. 8. აქსინია. 9. ტრიკოტინი. 10. ულელი. 11. ცისფერი. 12. პატრიოტიზმი. 13. ჭიპი. 14. ალიმენტი. 15. პალმა. 16. ანპილოგოვი-სეზარი. 17. ქოროღლი. 18. არიელი. 19. დარსმელიძე. 20. ტრამალი. 21. კალიფორნიუმი. 22. არმია. 23. პროვოკატორი. 24. კახნიაშვილი. 25. ევკალიპტიპეტრიაშვილი. 26. არტო-არსანი. 27. პინა. 28. ტლუ. 29. ფითრი-ბუბკა. 30. ბეთლემიალბიცია. 31. ინფრა-ხვითო. 32. პინოქიობესტი. 33. ქოჩარი. 34. იურგენი. 35. პუნქტუალური-ესტატე. 36. ხალვა-ჯაბახანა. 37. საკე-ესმა. 38. მეოხი. 39. ბროჯი. 40. სსრკ. 41. ჩაიკინა. 42. ალბათ. 43. სვიფტი. 44. ხათრი-გენშერი. 45. ნაფაზი. 46. კაჩხა. 47. კაც. 48. გრანტი-პურია. 49. ვლადი. 50. სადკო-შეშა. 51. ჰეროდეა-არქივარიუსი. 52. ხრინწი. 53. ვეკუა. 54. უფა-რეზონანსი. 55. ელბაქიძე-კრისტინა. 56. ხაჩირაშვილი. 57. ენდემური. 58. ფოლკნერი. 59. ალბათობა. 60. დეკანატი. 61. მექისე. 62. ზარი. 63. სარფიანიგვარდია. 64. არიერგარდი. 65. რებუსი. 66. მეკელი. 67. როიალი. 68. ოდო. 69. რომტერფი. 70. მსხვერპლთშეწირვა-ჰობოი. 71. აბაკა-წინ. 72. იმპერატორი. 73. რიბინსკი. 74. მინინი-გოა. 75. თინა. 76. პროფესიონალი. 77. სარელეო. 78. ლასო. 79. აბატი.

საპრემიო: 1. ლაროშფუკო. 2. გილგამეში. 3. ლაპლანდია. 4. სკარამუში.



თარაზულად: 11. მებაღეობით ცნობილი დედოფალი 12. გართობის ერთ-ერთი ამაზრზენი საშუალება 13. ის, რისი გამოგონებაც მეორედ საჭირო არ არის. 14. ბათუმის ღირსშესანიშნაობა. 15. გეიზერების ქვეყნის დედაქალაქი. 17. ლოს-ანჯელესის „აბორიგენი“. 19. ევროპის საკალათბურთო ქვეყნის დედაქალაქი. 22. სამხედრო სატელევიზიო გადაცემა. 25. (თვითკმაყოფილი) გერმანელი მოქალაქე 26. ირონიული ან კრიტიკული ანუ... 27. სასროლეთი. 29. ფრანგი კინომსახიობი ფილიპი. 30. (საბურთალოელი) პოლონელი ადამი. 32. რვაჯერ მოსული კოჭლი საქართველოში. 34. პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლიობა. 36. ქართული კინოს ყველაზე ცნობილი ვარდენი. 38. საამშენებლო მასალა. 42.. ქართული შაქრის საბადო. 43. საგზაო-სასაზღვრო გადასახადი. 44. კრასნოდარის დედა-მდინარე. 46. ტურგენევის ძაღლი. 47. ძველი რომაული პროფესია. 48. ქართული ფილმი. 49. მსხვრევადი ბანკი. 50. ელიზა დულიტლის მასწავლებელი. 51. ბაგირებით შემოსაზღვრული ყუთი. 52. ინდოეთის სიამაყე. 53. ოთხასოიანი ქვეყნის ოთხასოიანი დედაქალაქი. 54.. მოშინაურებული მდინარე.

შვეულად: !. ალპების დამპყრობი რუსი. 2. უოლტ დისნეის ბიზნესი. 3. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. 4. სპექტაკლის სარეკლამო საშუალება. 5. სასოწარკვეთილების ანტონიმი. 6. ცე-ექვსი, პაშ-ხუთი, ენ-პაშ-ორი... ანუ უფერო სითხე. 7. ბოლშევიკების მიერ მითვისებული ხომალდის ტიპი. 8. რუსების „ბაგრატიონი“. 9. როგორი მხატვარია აივაზოვსკი? 10. პიესა „კალიგულას“ ავტორი. 12. მთის ბალახი. 14. შენობის სივრცე, „სადაც ვესტის აბულბულებენ“. 16. ის, რაც არ ვიცით, თუ საიდან მოდის კინკლაობისას. 18. ერეკლეს მიერ გახეული სამოსი. 20. ორთქლის აბანოს სამშობლო. 21. სარკინიგზო ცნება. 22. წარწერიანი ქვის ფილა. 23. საზოგადოების თვალში პატივის ქონა. 24. როგორი ფენომენია ქართული კინო? 26. „მწეველთათვის განკუთვნილი კოსტუმი“. 28. უბედურების პატრონი ანუ... 31. ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესის შესუსტება. 33. ყვავილების მიწა ზოგადად. 35. მარგარიტა გოტიეს ყვავილი 37. გველიც, წყალიც, ქალაქიც. 39. მკვეხარას სახესხვაობა. 40. მთა გარეკახეთში. 41. ცხოველური ლიდერი. 45. ის, რისთვისაც შერეკილები პროწეულს ხმარობენ.



<u>თარაზულად</u>: 8. ყაჩაღის სინონიმი დასავლურქართულ დიალექტებში. 9. მალის დედაქალაქი. 12. სახელმწიფოს ძირითადი კანონი. 13. ფრანგი კინომახიობი. 15. ზურგჩანთის სახესხვაობა. 16. შავი, მბზინავი, ვულკანური მასა. 17. წინასწარი განცხადება. 18. ბიბლიური პერსონაჟი. 19. გერმანული ჟურნალი. 20. იტალიელი კომპოზიტორი. 26. მწყობრიდან გამოსვლა. 27. მოლდავეთის საფეხბურთო კლუბი. 28. პატივმოყვარეობა. 30. ხვიარა მცენარე. 31. სიმღერის სახესხვაობა. 32. ძირითადი ფონდების თანდათანობითი ცვეთა. 33. შეურიგებლობის ფორმა. 34.. მოცემული ენის დაუშლელი და უთარგმნელი სიტყვიერი ერთეული.

<u>შვეულად</u>: 1. სისხლნაკლებობა – მეცნიერულად. 2. სამკურნალო მცენარე. 3. ბიბლიური პერსონაჟი. 4. ინდუიზმის ღვთაება. 5. ქანდაკება – არაქართულად. 6. ლათინური ამერიკის უძველესი ტომი. 7. სანტექნიკური მოწყობილობა. 10. სიცივით მკურნალობა. 11. სიტყვათშემოკლება პირველი ასოების მიხედვით. 14. აქროლადი ეთერზეთი. 15. აზიის სახელმწიფო. 21. ქართველი სახალხო გმირი. 22. ძვირფასი ქვა (იხილეთ „ვეფხისტყაოსანი“). 23. საცალფეხო გზა. 24. იაპონური ავტომობილი. 25. აფრიკის სახელმწიფო. 28. ფუჭი, განუხორციელებელი ანუ.... 29. დღეღამის მონაკვეთი.



<u>თარაზულად</u>: 8. ფრანგი მევახშე – ზოგადად. 9. ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტი. 12. შენახვის მიზნით დაპრესილი და ამომშრალი საკვები. 13. „დიდების“ ნაწილი. 15. წინააღმდეგობის აღმნიშვნელი პრეფიქსი. 16. ტროპიკული ხილი. 17. ევროპის მთათა სისტემა. 18. წლების განმავლობაში საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. 19. საღებავი. 20. ტყის ბიჭი. 26. ქრისტიანი – მუსლიმანთათვის 27. ანდერსენის მშობლიური ქალაქი. 28. არაბული ზღაპრის პერსონაჟი.. 30. ცისკარას სატრფო. 31. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი. 32. დედამიწის ზედა ნაწილის დაბალი სიმკვრივის ფენა. 33. ციმბირის მდინარე. 34. სხეულის შინაგანი ორგანო.

<u>შვეულად</u>: 1. ქალაქი იტალიაში. 2. მცირე აზიის ისტ. ქალაქი-სახელმწიფო. 3. რუსეთის ლიდერი. 4. ტროპიკული ხილი. 5. სპარსელთა დიდი მეფე. 6. დიპლომატთა წერილი. 7. ზუგდიდის რაიონის სოფელი. . 10. „მოპარვის სურვილი“ – ბერძნულად.. 11. კათოლიკური ეკლესიის ცოდვათა შენდობის სიგელი. 14. ქართული კინოფილმი. 15. საფეხბურთო ამპლუა. 21. წინათგრძნობა. 22. რუსეთის ტბა. 23. დოსტოევსკის რომანი. 24 .ერთი უცნაური ქართული სახელი მამაკაცისა. 25. ყალმუხეთის დედაქალაქი. 28. კოპირებული დოკუმენტი.. 29. თხის ჯოგი.

# CROSS-SHOW
# საღამოს კროსვორდი დეტროიტის ფონზე








1.რა მოსდევს კოკას? 2. სურნელთა ერთობლიობა. 3. პერსევსის ცხენი. 4. მორწყვა – მეცნიერულად. 5. ტყავის დასამუშავებელი სათრიმლავი ნივთიერება. 6. (პოპულარული) სარეკლამო სიტყვა. 7. იგივეა, რაც უსასრულო. 8. ესპანეთის კუნძული. 13. გონებრივი პროდუქტი. 14. იაპონელ იმპერატორთა ტიტული. 15. მსოფლიო ლიტერატურის ოსკარი. 17. ქუვეითის ფული. 19. ძვ.ბერძენი ფილოსოფოსი, მილეტელი. 22. საცხენოსნო თამაში. 24. მოძველებულად მიჩნეული რამ. 26. რა ერქვა ვინმე კოსას, პაპ იოანე მე-13-ს? 27. ალკოჰოლური სასმელი. 28. ხაშის დამამშვენებელი. 31. მინდვრის ფრინველი. 32. ქართული ლექსის სახეობა. 35. წყლისა და ხორბლის ნაშიერი. 36. ტყვიის წინამორბედი. 37. ქიმიურად მარტივი სხეული ან შე ნადნობი. 38. საფრანგეთის ქალაქი. 40. აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვარი. 41. ადამიანის აუცილებელი ნივთ ების ერთობლიობა (სამოთხიდან გამოძევების შემდეგ). 43. ნელი სვლა. 47. სოფელი მცხეთის რაიონში. 49. ვულკანი იტალიაში. 50. „თავში სახლელი" რამ. 51. იგივეა, რაც ამბიციური. 53. წიგნი- უნივერსალი. 54. (კაიფვორდულად) „წადი (ან მოდი), ლია!" – მშვიდად. 58. ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი – ერთხანს პოლიტიკოსი. 59. ცხენის „პულტი". 60. დიდი გველი. 61. ქართული ზღაპრის გმირი 62. ერთ-ერთი მუსლიმანი. 63. ორვარსკვლავიანი კაცი. 65. ქართველი პოეტი ნოდარი. 66. უსინათლო მხარე. 67. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. 74. ქართველი კომპოზიტორი, ვიქტორი. 76. „პერესტროიკის" დროინდელი ქართული გაზეთი. 78. 60-იანი წწ. ქართველი წყალბურთელი, სსრკ ნაკრების წევრი. 82. ათის მეთორმეტე ხარისხი. 83. კინოკომედია ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით. 84. დასასვენებელი სახლი. 87. ტროპიკული ხილი. 90. ფრინველი, რომლის „ახმა" მიართვა ტარიელმა ნესტანს. 91. ესპანელი აზნაური. 93. ყირიმის კურორტი. 94. ბერძნული ანბანის ასო. 98. პურმარილის „ატრიბუტი".

გასული ნომრის კროსგიგანტის პასუხები

თარაზულად: 18. თავისუფლება. 19. ვარსიმაშვილი. 20. პანტელეიმონი. 22. ორდენი. 23. ხუშტური. 24. ულრანი. 25. პატრიოტი. 26. მარანი. 28. მტერი. 29. ანალიტიკური. 31. ნინიძე. 32. ლითონი. 33. მამაო. 37. ჩოგანი. 38. ძლევაი. 39. მეხაშე. 40. ერედვი. 41. ლიდერი. 43. პრეზიდენტი. 44. ბრიალი. 45. ამბორი. 47. პორნოგრაფია. 49. ჭორი. 53. თემურ-ლენგი. 56. მანდილი. 57. არგვეთელი. 61. მამავერა. 62. კაფია. 63. ურბნისი. 64. ანხანაგი. 65. ამირანი. 66. იალალი. 69. მთა. 70. ყარამანიანი. 71. გაბო. 72. ოფიცერი. 73. ციდა. 76. მმა. 77. მთიანი. 78. ემიგრანტული. 79. კოალა. 80. კვართი. 81. ზვარი. (უ). უპრიანი. 83. ლუხუმი. 86. არლანი. 88. ინტერვიუ. 90. ალია. 91. პარიზი. 98. სერვანტესი. 99. ილია. (ს). სოფიკო. 100. ანა 101. მარგიანი. 103. ქედი. 105. რუსუდანი. 106. პეტერბურგი. 108. მარად. 109. შაყირი. 112. მაგრამ. 113. ბარემ. (მ). მარაზმი. 115. ჯიპი. 116. ბაგები. 117. ტრისტანი. 118. დასი. 119. იორლა. 120. ჯირითი. 121. მეტრეველი. 122. რკო. 123. ბობოლა. 126. ამირეჯიბი. 130. კიდევ. 133. აბაი. 136. მასტი. 138. კაკალუ. 140. სკა. 144. ამირანაშვილი. 145. რტო. 146. ალაო. 147. ანტიკომუნიზმი. 150. ყლორტი. 151. აბრევიატურა. 152. გრიმასა. 153. აბორტი. 154. ქანდა. 156. ანცი. 157. ალიტუსი. 158. ავლევი. 160. პარტია. 161. დიმიტრიადი. 164. მიხო. 166. ედა. 167. პარაზიტოლოგია. 172. ტროცკი. 178. კონფერანსიე. 179. ტიბალტი. 181. გეორგია. 182. პროტოტიპი. 186. ალერდი. 187. პოლიციელი. 188. ნარდი. 189. სალიერი. 190. ლევანი.

შვეულად: 1. ბაგრატიონი. 2. სიმეტრია. 3. გურია. 4. გლახუნა. 5. აბაშელი. 6. მანიაკალური. 7. ფსოუ. 8. ამირა. 9. უმანგი. 10. გიო. 11. კიკალეიშვილი. 12. სპირალი. 13. ინდოეთი. 14. რეგიონი. 15. ფერმა. 16. ამორძალები. 17. ანანიაშვილი. 21. კუშტი. 27. ლიახვი. 30. რევიზიონიზმი. 34. მილიციელი. 35. ფილდინგი. 36. ბერბიჭაშვილი. 39. მანაგუა. 42. ევოლუცია. 46. მხედართმთავრი. 48. ანგლიკანური. 50. რევოლუცია. 51. ენა. 52. ტრაღედია. 54. ნორმა. 55. იონჯა. 56. მესხი. 58. ეტალონი. 59. ელისო. 60. ისანი. 61. მძიმე. 67. მარიხი. 68. ინტერვენცია. 74. გაბრიაძე. 75. ბიურგერი. 79. კელასტრიშვილი. 82. ნეილონი. 84. ხარკი. 85. მიზანთროპია. 87. იავარქმნილი. 89. ური. 90. არიერგარდი. 92. ონისე. 93. ვერდი. 94. სიონი. 95. ბაკმა. 96. ბადრი. 97. იმედი. 102. სეპარატიზმი. 104. იარვეტი. 107. ელექსირი. 110. ყაჯარები. 111. საირმე. 114. მუსიკოსი. 123. ბუდრუგანა. 124. ლოკომოტივი. 125. ამხანაგური. 127. რემბრანდტი. 128. ჯართი. 129. ბანძა. 131. ირინა. 132. ემიგრანტი. 134. ბლოკადა. 135. იკარუსი. 137. იანძი. 138. კაისა. 139. კრონა. 141. იმტა. 142. ტრავკინი. 143. მიხო. 148. ალექსანდროული. 149. ეგრისი. 155. ამარკორდი. 159. ლერმონტოვი. 162. რაი. 163. ანოა. 164. მატიტელა. 165. სკაპენი. 168. ადილეა. 169. აკაცია. 170. ოლესია. 171. იარუსი. 173. სფერო. 174. ანაპა. 175. ხიბლი. 176. დიელო. 177. არშია. 180. ტონა. 183. აცე. 184. წრე. 185. ჯერ.

ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს
მიერ №7/1— 1811
რედაქტორი
ალექსანდრე ელერდაშვილი
(უზნაძის ქ. № 18, „საქწიგნი", 1-ლი სართ.)

## „შავი" იუმორი
*(მითხარით, გეთაყვა...)*

დამკრძალავი ბიუროს საწყობში ერთი პოტენციური კლიენტი მიმართავს საწყობის გამგეს:
– მითხარით, გეთაყვა, რომელი კუბოს შეძენას მირჩევთ – ხისას თუ თუთიისას?
– ხის კუბო ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, სამაგიეროდ თუთიისა დიდხანს ძლებს.

☹ ☹ ☹

ე.წ. „მორგის" გამგე ურეკავს ავტომაღაზიის გამგეს:
– მითხართ, გეთაყვა, რამდენი მოტოციკლეტი გაყიდეთ დღეს?
– ხუთი!
– ესე იგი, ერთი ჯერ კიდევ სადღაც დასეირნობს?!

☹ ☹ ☹

ცოლი (მას შემდეგ, რაც ექიმი მისი ქმრის გასინჯვას ამთავრებს):
– ექიმო, მითხარით გეთაყვა, არის თუ არა თუნდაც რაიმეს იმედი?
– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის იმედი გაქვთ.



1. აშშ-ს მთავარი სამთავრობო შენობა. 9. ქართული ესტრადის ბერმუხა. 10. გადასახადის სახეობა. 11. სიყვარულის „სარბიელი" (თუნდაც სალამოჟამს). 12. ყურძნის და ხორბლის ერთობლივი „შვილი". 16. აღზრდის „რეზულტატი". 17. საჯარისო შენაერთი. 18. ნივთი, რომელიც ახლა ერთობ მნიშვნელოვანი გახდა. 20. ახალი რა აქვს აშშ-ს ერთ-ერთ მეგაპოლისს? 21. გალაკტიონის ალალი ბიძაშვილი. 23. „ქალალდი", რომლის გარეშე ირაში ჩასვლა ვერ დალევ. 25. ოცდაცამეტის პირველი მესამედის დამაგვირგვინებელი. 26. ნინო ანანიაშვილი, მაია პლისეცკაია და სხვები.. 29. (აწ უკვე) გოსპოჟა ახმატოვა. 30. ქართული კინოფილმი ნაცვალსახელური ინტერპრეტაციით. 33. რა იყო ერთ დროს თბილისი? 34. (მეწარმეთაგან მიღებული სახსრებით) არამწარმოებელი ორგანიზაციების დაფინანსება. 37. გალაკტიონიც და თავისი ბიძაშვილიც. 39. კაცი (...და ქალიც), რომელიც ლაპარაკობს. 42. ნუშის ლიქიორი. 44. იუდეის უძველესი ქალაქი. 45. უვიცის სინონიმი. 46. სიძველეთა მაძიებლის წინსართი. 48. საშუალო სიმაღლის ხე. 50. ორი ხელით საჭმელი რამ. 52. ბავშვის "შვება" 9-14 სთ. მონაკვეთში. 53. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 55. სიტყვასიტყვით – თვითსახელობა. 56. „მაისში ჩაძინებული" სანტა-ბარბარელი. 57. ადამიანთა (...ხაზს ვუსვამთ – ადამიანთა!) ურთიერთობის უმთავრესი აუცილებლობა. 60. ნოდარ დუმბაძის რომანის ატრიბუტი. 62. რუსული წარმოშობის ფრანგი მხატვარი. 64. სალექსო ზომა. 68. უქმრო ქალი. 69. პენალტების სერიის აუცილებელი წინაპირობა. 70. კარდინალების თათბირი ანუ პაპის არჩევნები. 71. კურორტი იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 72. შინაური პირუტყვის სადგომი. 73. ხე, რომელშიც „ლამპიონი ქრება". 75. (ქართლოს კასრაძის ძველი მონოლოგის) პამიდვრის პროდუქტი. 77. მსოფლიოს უძველესი ქალაქი. 79. სოფელი ხაშურის რაიონში. 80. მარიამის სადიდებელი სიტყვა. 81. წერილის სახესხვაობა. 84. იორდანიის დედაქალაქი. 85. „ამაოების ბაზრის" ავტორი. 86. მეჩხერწყლიანი უბე. 88. ფრანგი სოციალისტი, ფრანსუა... (1814-1872). 89. ნივთიერებათა ცვლის ხელშემწყობი ჰორმონი. 92. ჩაუშესკუს შემდეგ. 95. თავდამცავი ინვენტარი. 96. უახლოესი (არაპირდაპირი) წინაპარი. 97. ზღაპრული ქალამნის ნედლეული. 98. მეთევზის „შინაური" ცხოველი. 99. ტყე-ღრეში წანწალის პროფესია. 100. 0,4047 ჰექტარი. 101. ყველაზე პოულარული ქსოვილი თანამედროვეობაში. 102. ორი ერთიანი. 103. რა არის „იქ"?